სათაური: Ticket nach Berlin
18 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი
საძიებო სიტყვა/თემატიკა:ინტერკულტურა
რესურსის ტიპი: (სავარჯიშო/ვიდეორესურსი**)**ვიდეორესურსი და თანდართული მეთოდიკა გერმანული ენის გაკვეთილზე გამოსაყენებლად

https://learngerman.dw.com/de/ticket-nach-berlin/c-55320903

ავტორი: დოიჩე ველეს პროდუქტი

მხარდამჭერები:

Auswärtiges Amt

GOETHE INSTITUT

სამიზნე ჯგუფი:
B1/B2 - დონე

- ექვსი კანდიდატი
- 2 გუნდი
- ერთი მიზანი: *ბერლინი!*

ანოტაცია:

გერმანიაში მოგზაურობისას ექვსი ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდას, რომელიც გერმანულ ენას ეუფლება, უწევს საინტერესო გამოწვევებთან გამკლავება.ნეტავ რომელი გუნდი დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას? და რომელი გუნდი მოიგებს ამ არაორდინალურ შეჯიბრში?
„ბილეთი ბერლინისკენ“ „Ticket nach Berlin“ თქვენს მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას 18 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის მეშვეობით დაემგზავრონ 6 ახალგაზრდას ბერლინისკენ მიმავალ გზაზე და მათთან ერთად ახლოს გაიცნონ გერმანიის სხვადასხვა კუთხე.მაგ.მოინახულონ კუნძული ფელვორმი, ქალაქები:მიუნხენი, ჰამბურგი,ბრემენი,ოფენბახი, მიუნსტერი,კიოლნი და ა.შ..

რესურსის მიზანი:

დოკუმენტური ფილმები და თანდართული სასწავლო მასალა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ და დაამუშავონ ინფორმაცია ისეთ ინტერკულტურულ თემებზე როგორიცაა:

- ამინდის პროგნოზი
- ორიენტირება/გზის გაკვლევა
- სპორტის ტრენდული სახეობები
- ბედნიერება და კმაყოფილება
- წესები და წესრიგი
- დიდი მწვანე ქალაქი
- ღვინის მოშენება
- რეცეპტები და კერძების მომზადება

- შეჯიბრი
- თანაცხოვრება
- ალტერნატიული ცხოვრება/ცხოვრება ალტერნატიულად
- ტრანსპორტი
- რეცეპტის მიხედვით საჭმლის დამზადება
- ნამცხვრის ცხობა
- გაცვლა-გამოცვლა და შევაჭრება
- ხელოვნების ბაზარი
- გაყოფილი ბერლინი
- მგზავრობა ბერლინის გავლით